**განმარტებითი ბარათი**
**საქართველოს კანონის პროექტზე**
**„თავდაცვის კოდექსი“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:**

- თავდაცვის ძალების მართვის ეფექტიანობის ამაღლება;
- სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ ნორმებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;
- თავდაცვის სფეროში ერთიანი კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის არარსებობა.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

- თავდაცვის ძალების მართვის ეფექტიანობის სამართლებრივი საფუძვლების დახვეწა;
- ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) სამართლებრივი მექანიზმების თავსებადობის ხელშეწყობა;
- სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების საჭიროება;
- თავდაცვის სფეროში არსებული მოქმედი სამართლებრივი აქტების კონსოლიდირება.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

- სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზების სამართლებრივი საფუძვლების დახვეწა;
- თავდაცვის ძალების მართვის ეფექტიანობის ამაღლება;
- სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის, პრინციპებისა და დოკუმენტების განსაზღვრა;
- თავდაცვის ძალების მეთაურის დანიშვნის წესისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა;
- სამხედრო წოდებებს შორის არსებული მინიმალური ვადების მოწესრიგება და თანამედროვე დასავლური სტანდარტების დაწინაურების სისტემის მექანიზმის უზრუნველყოფა;
- ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) სამართლებრივი მექანიზმების თავსებადობის ამაღლება;
- სამხედრო სამსახურის არსისა და სახეების ახლებურად განსაზღვრა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირების სოციალური გარანტიების გაუმჯობესება;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეთათვის, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, თანადაფინანსებით, საცხოვრებელი ფართების (ბინების) მშენებლობა;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურის სახელის შეცვლა - წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური;
- წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის 12-თვიანი ვადის შემცირება და რეფორმა;
- სამხედრო სამსახურის გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში;
- თავდაცვის სფეროში ერთიანი კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის შექმნა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

დღეისათვის თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

**- საკანონმდებლო:**

1. ,,საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი.
2. ,,თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი.
3. „საქართველოს თავდაცვის ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონი.
4. ,,სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი.
5. ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონი.
6. „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი.
7. „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი.
8. „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი.
9. „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 8 ივნისის კანონი.

**- კანონქვემდებარე ნორმატიული:**

1. „სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილება.
2. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილება.
3. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სპეციალური წოდების მქონე პირთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულება.
4. „საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 25 ივლისის №54 ბრძანება.
5. „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის № 582 ბრძანება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობასთან და სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საჭიროებს დაზუსტებას/შეცვლას. ამასთან, ერთი და იგივე საკითხი, დარეგულირებულია სხვადასხვა სამართლებრივი აქტით (მაგალითად: სამხედრო სამსახურში მიღების, სამსახურის გავლისა და სამსახურიდან დათხოვნის საკითხები რეგულირდება ,,სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებითა და „საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 25 ივლისის №54 ბრძანებით). შესაბამისად, ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ხშირად გვხვდება ნორმათა დუბლირება/კოლიზია. ამდენად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თავდაცვის კოდექსის პროექტის შემუშავება, რომელიც ახლებურად დაარეგულირებს სამინისტროს მოწყობის, საქმიანობისა და სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, განხორციელდება თავდაცვის სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების კოდიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს, როგორც შესაბამის სამართლებრივ აქტებში არსებულ ნორმათა დუბლირების/კოლიზიის

აღმოფხვრას, ასევე თავდაცვის სფეროში ერთიანი, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის შექმნას. პროექტის მიღება ხელს შეუწყობს სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზების სამართლებრივი საფუძვლების დახვეწას, თავდაცვის ძალების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) სამართლებრივ თავსებადობას, სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირების სოციალური გარანტიების გაუმჯობესებას.

პროექტით წარმოდგენილია გარკვეული სიახლეები. კერძოდ:

- 2024 წლიდან სამინისტრო ვალდებული იქნება სამხედრო მოსამსახურეთათვის, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, თანადაფინანსებით, უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართების (ბინების) მშენებლობა. სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს, საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცემა თავდაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმების მიხედვით. ეს ხელს შეუწყობს სამხედრო მოსამსახურეთათვის სოციალური გარანტიის ზრდას და მოტივაციის ამაღლებას.
- გაიზრდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრა-დასახიჩრების ან დაღუპვის შემთხვევაში დაწესებული კომპენსაციის ოდენობა და იგი, ასევე გავრცელდება სამინისტროს სისტემის სამოქალაქო პირებზე.
- შემცირდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის 12-თვიანი ვადა. ამასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურს შეეცვლება სახელწოდება და მას ეწოდება „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“.

პროექტის მიხედვით, განისაზღვრა კოდექსის მიზანი და რეგულირების სფერო. კოდექსის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, თავდაცვის ორგანიზების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. რაც შეეხება რეგულირების სფეროს, იგი ეფუძნება ტოტალური თავდაცვის მიდგომას, ეროვნული მედეგობის გაძლიერებას, ეროვნული წინააღმდეგობის ორგანიზებასა და ამოცანით მართვას, რომელთა განხორციელების გზები და პრინციპები უნდა აისახოს ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებში. ასევე, კოდექსის რეგულირების სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილებისა და სტრუქტურის განსაზღვრა, სამხედრო აღრიცხვა, სამხედრო სამსახურის გავლა, თავდაცვის რეზერვის მართვა, სამხედრო განათლება, საერთაშორისო სწავლება, სამშვიდობო ოპერაცია, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, საომარი მდგომარეობის რეგულირება, მოხალისეობა თავდაცვის სფეროში.

პროექტის მიხედვით შემოღებულ იქნა ერთგვაროვანი ტერმინოლოგია, რაც პრობლემურ საკითხს წარმოადგენს დღევანდელ კანონმდებლობაში.

განისაზღვრა სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის არსი და პრინციპები, სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის (ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული) დოკუმენტების სახეები, მათი შემუშავების, დამტკიცებისა და კოორდინაციის წესი.

პროექტით განისაზღვრა სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციები. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათი ფუნქციების გათვალისწინებით, ერთიანდებიან სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ან თავდაცვის ძალებში. შესაბამისად, სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების

ფუნქციები, ასევე მათი ერთობლივი ფუნქციები მოცემულია ცალ-ცალკე.

პროექტის შესაბამისად, ახლებურად განისაზღვრება სამხედრო მოსამსახურის დაჭრა-დასახიჩრების ან დაღუპვისათვის დაწესებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა. კერძოდ, კომპენსაციის ოდენობა დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში ნაცვლად 7 000 ლარისა განისაზღვრა 20 000 ლარით, ხოლო დაღუპვის შემთხვევაში - ნაცვლად 15 000 ლარისა 30 000 ლარით. რაც შეეხება საბრძოლო დავალების შესრულების, სამშვიდობო ოპერაციაში ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის, ასევე საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს დაღუპვის ან მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვალების შემთხვევაში 2013 წელს დაწესებულ 100 000 ლარიან ერთჯერად დახმარებას, რჩება უცვლელი. ამასთან, სიახლის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სამოქალაქო (მათ შორის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე) პირებზე დაჭრა-დასახიჩრებისა და დაღუპვის შემთხვევაში გავრცელდება სამხედრო მოსამსახურის ანალოგიური სოციალური გარანტები, ვინაიდან მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება ხშირად უწევთ იმავე პირობებში და რისკის ქვეშ (სამხედრო წვრთნები, სამშვიდობო ოპერაციები, საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს), როგორც სამხედრო მოსამსახურეებს.

„სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის დებულებით დარეგულირებულია სამხედრო მოსამსახურის (მათ შორის დაჭრილი და დაშავებული), ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტისა და მოქნილობის მიზნით, სამინისტროს მოსამსახურის ჯანმრთელობის დაცვასთან, მის მიმართ განსახორციელებელ სამედიცინო მომსახურებასთან და შესაბამის ანაზღაურებასთან, ასევე ჯანმრთელობის გამო შვებულებასთან (მათ შორის, დაჭრილი/დასახიჩრებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულების ვადა) დაკავშირებული საკითხები დარეგულირდება თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტით.

პროექტის მიხედვით, თავდაცვის მინისტრი უფლებამოსილი იქნება დაადგინოს, როგორც სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები, ასევე სამინისტროს მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვროს იმ პირთა სოციალური გარანტიები, რომლებიც არ არიან სამინისტროს სისტემის მოსამსახურეები. აღნიშნული ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ან სამშვიდო ოპერაციების დროს, სამინისტროს ზოგიერთმა მოსამსახურემ სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო. აღნიშნული კატეგორიის მოსამსახურეები სახელმწიფოსთვის, მათ შორის თავდაცვის ძალებისთვის, წარმოადგენენ მნიშვნელოვან რგოლს, შესაბამისად, მათ კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო ინტენსიურად ახორციელებს შესაბამისი სოციალური ღონისძიებების გატარებას და იღებს ვალდებულებას განახორციელოს მათი ფიზიკური რეაბილიტაცია, მიუხედავად იმისა, ეს პირი კვლავ წარმოადგენს თუ არა სამინისტროს სისტემის თანამშრომელს. შესაბამისად, სოციალური გარანტია ასევე შეიძლება დაუწესდეს პირს, რომელიც არ იქნება სამინისტროს სისტემის მოსამსახურე, მაგრამ დაჭრილ და დაშავებულ მოსამსახურეს მკურნალობის დროს, მათ შორის საზღვარგარეთ, შეიძლება ახლდეს როგორც თანმხლები/მომვლელი პირი (მაგ. ოჯახის წევრი). აღნიშნული საკითხი დღეს რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის დებულებით.

- საქართველოში ჩატარებულ სამხედრო სწავლებებში მონაწილე პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები, სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სამინისტროს ობიექტებში

განთავსებით, სამედიცინო მომსახურებით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით, ტრანსპორტით, კვებით, სანივთე ქონებით, ფარმაცევტული და სხვა საშუალებებით. აღნიშნული ღონისძიებებით ასევე შეიძლება უზრუნველყოფილი იქნენ სხვა უწყების მოსამსახურეები, რომლებიც სწავლობენ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ან/და მონაწილეობას იღებენ სამინისტროს ეგიდით გამართულ ერთობლივ წვრთნებში (მაგალითად კვება, სანივთე ქონებით უზრუნველყოფა).
პროექტის მიხედვით, სამინისტროს სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, სამინისტროს ობიექტებთან გარკვეულ დისტანციაზე მშენებლობისა და სხვა საქმიანობის განხორციელება, აუცილებელი იქნება წინასწარ შეთანხმდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან. აღნიშნული განპირობებულია პერიმეტრის კონტროლისა და შეზღუდული ხილვადობის პირობებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით, ასევე ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების დაცვის საჭიროებით.
პროექტით ასევე განისაზღვრა:

- საქართველოს თავდაცვის ძალების სახეობა და შემადგენლობა;
- საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მართვის დონეები: სტრატეგიული, ოპერატიული, ტაქტიკური;
- საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის დაწესების საფუძველი;
- საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების წესი;
- საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, განისაზღვრა სამინისტროს კომპეტენცია დანერგოს და განავითაროს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელშემწყობი სტანდარტიზაციისა და ეროვნული კოდიფიკაციის სისტემა, რომელიც თავსებადი იქნება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა (ნატო) და ევროკავშირის სტანდარტებთან.

პროექტით განისაზღვრა საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამართლებრივი სტატუსი, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, უფლებამოსილებები, იძულების ღონისძიებების გამოყენების სფეროები და ფარგლები, სამხედრო ფუნქციები.

ახლებურად განისაზღვრა სამხედრო სამსახურის არსი და სახეები.
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო სამსახური იყოფა სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო სამსახურებად და რეზერვად. ტერმინი „კადრის სამხედრო სამსახური“ არის მოძველებული და აღარ შეესაბამება დღევანდელ რეალობას. შესაბამისად, სამხედრო სამსახურის სახეები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- რეგულარული სამხედრო სამსახური, რომელიც მოიცავს:
  - პროფესიულ სამხედრო სამსახურს;
  - წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს.
- თავდაცვის ძალების რეზერვი მოიცავს:
  - აქტიურ რეზერვს;
  - სამობილიზაციო რეზერვს.

თავის მხრივ, აქტიური რეზერვი შედგება ტერიტორიული რეზერვისგან და სპეციალისტთა რეზერვისგან, ხოლო სამობილიზაციო რეზერვი - მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვისაგან და ზოგადი სამობილიზაციო რეზერვისაგან.

პროექტის მიხედვით, ერთ-ერთი ფუნდამენტური სიახლეა სამხედრო სამსახურის გავლა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში

სამხედრო მომზადება ხორციელდება სპეციალური პროგრამების მეშვეობით, მათ შორის პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით. ამასთან, ზოგიერთი კატეგორიის სამხედრო წოდების მინიჭება და თანამდებობრივი დაწინაურება ხდება შესაბამისი კურსების გავლისა და თანამდებობრივი და წოდებრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარების შემდგომ, შერჩევის საბჭოს ჩართულობით, რომლის შესაძლებლობასაც მოკლებულია სხვა უწყება. შედეგად ვიღებთ ოფიცრებს, რომლებსაც მიღებული არ აქვთ სათანადო დონის სამხედრო განათლება და შესაბამისი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია პირისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში, იმსახუროს სამხედრო ქვედანაყოფებში ან რეზერვში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიახლის მიხედვით, 2025 წლიდან, სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირი იქნება მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. რაც შეეხება პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს სამხედრო წოდება და სამხედრო სამსახურს გადის სხვა უწყებაში, 2025 წლიდან მიეცემა შესაძლებლობა სამსახური გააგრძელოს სახელმწიფო სპეციალური წოდებით.

პროექტის მიხედვით, სამხედრო ფიცის ტექსტს, სამინისტროს წარდგინებით დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სამხედრო ფიცის დადება უნდა დასტურდებოდეს სამხედრო მოსამსახურის ხელმოწერით.

სიახლის მიხედვით, სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან თავსებადი იქნება:

- სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი, სამედიცინო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სახელმწიფო ან სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში საავიაციო სფეროში განხორციელებული საქმიანობა;
- საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობაზე განხორციელებული საქმიანობა, რომელიც ემსახურება საერთაშორისო პარტნიორობის ან/და სამშვიდობო ოპერაციის მიზნების შესრულებას.

სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან აღნიშნული საქმიანობის შეთავსება აუცილებელია შესაბამისი სპეციალობის მქონე სამხედრო მოსამსახურის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად, ასევე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად. ამასთან, სამხედრო მოსამსახურისათვის ზემოაღნიშნული წარმოადგენს დამატებით მნიშვნელოვან პრივილეგიას და ემსახურება მისი მოტივაციის ამაღლებას.

ახლებურად განისაზღვრა განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის წესი. კერძოდ, განსაკუთრებულ პირობებში ნამსახურობის ვადის პროპორციულად (სამმაგი, ორმაგი და ერთნახევარი ოდენობით) აღარ მოხდება წელთა ნამსახურობის ვადის გადაანგარიშება და იგი შეეხება მხოლოდ შრომის ანაზღაურების ოდენობას, ვინაიდან წელთა ნამსახურობის გადაანგარიშება ზეგავლენას ახდენს მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების ვადაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ვერ ახერხებს დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რომლებიც აუცილებელია მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად (უცხო ენის შესწავლა, შესაბამისი კურსების გავლა). რაც შეეხება წელთა ნამსახურობის გადაანგარიშებას, იგი განხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნებისათვის.

პროექტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი, თანამდებობაზე დაინიშნება და თანამდებობიდან გათავისუფლდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ.

შეიცვალა ზოგიერთი კატეგორიის სამხედრო წოდების მინიჭების ვადა:

- I კლასის რიგითიდან - კაპრალამდე ან კაპრალ-სპეციალისტამდე - ნაცვლად 2 წლისა - 1 წელი;
- სერჟანტიდან - უფროს სერჟანტამდე - ნაცვლად 3 წლისა - 4 წელი;
- უფროსი ლეიტენანტიდან - კაპიტნამდე – ნაცვლად 3 წლისა - 4 წელი;
- კაპიტნიდან - მაიორამდე – ნაცვლად 3 წლისა - 4 წელი;

- მაიორიდან - ვიცე-პოლკოვნიკამდე – ნაცვლად 4 წლისა - 5 წელი.

მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად არსებული ვადის შეცვლა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

- პირველი კლასის რიგითიდან კაპრალამდე სამხედრო წოდების მინიჭების ვადის შემცირება გამოიწვევს კაპრალამდე და უმცროს სერჟანტამდე უფრო სწრაფ წოდებრივ ზრდას, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო მოსამსახურის მოტივაციის ამაღლებას, რომ მიენიჭოს სერჟანტის სამხედრო წოდება.

- სერჟანტიდან უფროს სერჟანტამდე წოდების მინიჭების ვადის ზრდა ხელს შეუწყობს სერჟანტთა შემადგენლობის წოდებრივი ზრდის ვადის დაბალანსებას (20 წელი). ამასთან, აღნიშნული ცვლილება თანხვედრაში მოვა საქართველოს თავდაცვის ძალებში სერჟანტების რაოდენობრივ მოთხოვნებთან. კერძოდ, დაბალი რანგის სერჟანტების მეტი რაოდენობის საჭიროება მაღალი რანგის სერჟანტებთან შედარებით.

- ოფიცერთა შედარებით დაბალ წოდებაში მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებისათვის არსებული მცირე ვადები იწვევს ოფიცრის მაღალ წოდებამდე სწრაფად ზრდას. შესაბამისად, პირმა შეიძლება ვერ მიიღოს სათანადო განათლება და გამოცდილება (საკარიერო კურსები; უცხო ენის კურსები და ა. შ.). ამასთან, წოდების მისანიჭებლად არსებული მცირე ვადა იწვევს მაღალი რანგის ოფიცერთა სიჭარბის წარმოქმნას სამინისტროში არსებულ საშტატო ნუსხებთან შედარებით. ამდენად, მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებისათვის დადგენილი ვადის გასვლის მიუხედავად, მაღალი წოდების საშტატო თანამდებობების სიმცირის გამო, ვერ ხერხდება ოფიცერთა საკმარისი რაოდენობის დაწინაურება.

ოფიცრის პირველი უმაღლესი სამხედრო წოდება (ბრიგადის გენერალი) შეიძლება მიენიჭოს პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეს თუ მას ორი წლის განმავლობაში ეკავა პოლკოვნიკის და ერთი წლის განმავლობაში უმაღლესი ოფიცრის საშტატო კატეგორიის თანამდებობა. აღნიშნული ეფუძნება შემდეგ გარემოებას - სამხედრო მოსამსახურემ, პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭებისა და შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, მიზანშეწონილია იმსახუროს გარკვეული პერიოდი, რათა მიიღოს შესაბამისი გამოცდილება და აიმაღლოს ცოდნის დონე.

პარტნიორ ქვეყნებში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, „არმიის გენერლის“ სამხედრო წოდებას ეწოდა „გენერლის“ სამხედრო წოდება.

როგორც წესი, მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად, აუცილებელია სამხედრო განათლების მიღება, უცხო ენის (ძირითადად ინგლისურის) შესწავლა, და შესაბამისი გამოცდილების შეძენა. შესაბამისად, მშვიდობიან პერიოდში სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება არ არის მიზანშეწონილი. რაც შეეხება საომარ მდგომარეობას, გარკვეული თანამდებობის შევსებისათვის შეიძლება წარმოიქმნას ვადამდე წოდების მინიჭების საჭიროება. ამდენად, პროექტის მიხედვით, მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს.

პროექტის მიხედვით, სამხედრო წოდება პირს ჩამოერთმევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ. სამხედრო წოდების ჩამორთმევის შემთხვევაში, პირს შეუწყდება სოციალური გარანტიების მიღების უფლება, რომლებიც წარმოექმნა სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით.

კარიერული იერარქიის დაგეგმვის უზრუნველსაყოფად, ზოგიერთი კატეგორიის სამხედრო მოსამსახურის ზღვრული ასაკი განისაზღვრა განსხვავებულად. კერძოდ:

რიგითთა შემადგენლობას, საბრძოლო ქვედანაყოფებში უწევთ რთული დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკურ დატვირთვასთან. ამასთან, მათ არ უწევთ კარიერული დაწინაურება. შესაბამისად, მიზანშეწონილია მათი ზღვრული ასაკი ნაცვლად 50 წლისა განისაზღვროს 45 წლით, რათა დროულად განხორციელდეს მათი როტაცია, ასევე, გაჩნდეს მეტი

მოტივაცია მაღალ წოდებაში დასაწინაურებლად. გაიზარდა მთავარი სერჟანტის ზღვრული ასაკი და ნაცვლად 50 წლისა განისაზღვრა 55 წელი. რიგითთა, კაპრალთა და სერჟანტთა წოდებრივ იერარქიაში, მთავარი სერჟანტი წარმოადგენს ყველაზე მაღალი წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, მას მიღებული აქვს სათანადო განათლება (რაზედაც გაწეულია მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები) და გააჩნია მრავალმხრივი კარიერული გამოცდილება. შესაბამისად, უწყება დაინტერესებულია მთავარი სერჟანტის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურე შეინარჩუნოს ხანგრძლივი დროით.
სამინისტროს სისტემაში სამედიცინო პერსონალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც აქვს სამედიცინო განათლება და ამავდროულად დანიშნულია სამედიცინო ქვედანაყოფში ან უკავია სამხედრო სამედიცინო გვარეობის საშტატო თანამდებობა - ზღვრული ასაკი გაუგრძელდება 55 წლამდე.
სიახლის მიხედვით, საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტისა და მოქნილობის მიზნით, პოლკოვნიკისა და უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის ზღვრულ ასაკს, ნაცვლად საქართველოს მთავრობისა, გააგრძელებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

სიახლის მიხედვით, კოდექსის ამოქმედების შემდგომ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირი მიღებული იქნება მხოლოდ სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში და საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში. პირს, რომელიც სახელმწიფო სპეციალური წოდებით სამსახურს გადის სხვა ქვედანაყოფებში, შეუნარჩუნდება აღნიშნული წოდება, მაგრამ აღარ მიენიჭება მორიგი, თუმცა სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები წლების მიხედვით შესაძლებელია წარმოეშვათ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.

პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განახორციელებს 2023 წლის პირველი ივლისიდან, ხოლო მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვას, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზებას და გაწვევას 2024 წლის პირველი იანვრიდან. ამასთან, განისაზღვრა სამხედრო აღრიცხვის სახეები და წესი, ასევე სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავება განხორციელდება მხოლოდ სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფის, აგრეთვე სტატისტიკის წარმოების მიზნით, იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ სიახლეს წარმოადგენს სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით ახლებური მიდგომების ჩამოყალიბება.
კერძოდ, დანერგილია ახალი სარეზერვო სისტემა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რეზერვის დაკომპლექტება იმ პირებისაგან, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სამსახური, მათ შორის სავალდებულო სამხედრო სამსახური, ვინაიდან საომარი მოქმედებების დროს, პირს უნდა გააჩნდეს ოცეულში ჩართვისა და ბრძოლის უნარი. ამდენად, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული პირის სათანადოდ მომზადება. ამისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებობს სპეციალური საწყისი საბრძოლო მომზადების კურსები (BCT), რომელიც პირს აძლევს საშუალებას შეიძინოს სამხედრო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები.
უნდა აღინიშნოს, რომ სხვა უწყებებში/დაწესებულებებში, სადაც პირი გადის სავალდებულო სამხედრო სამსახურს, არ ხორციელდება სპეციალური საწყისი საბრძოლო მომზადების კურსების

(BCT) გავლა. ამასთან, სხვა უწყებაში/დაწესებულებაში გაწვეული პირი ასრულებს არასამხედრო ამოცანებს. ამდენად, პირს შეიძლება გავლილი ჰქონდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური მაგრამ, მას ვერ ექნება ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია რეზერვზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად და ოცეულის დონეზე ჩართვის უზრუნველსაყოფად.

„ტოტალური თავდაცვის“ პრინციპიდან გამომდინარე და ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, პირის ოცეულის დონეზე მომზადებისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ახლებური ხედვა სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით. სიახლე ითვალისწინებს სამსახურის 12-თვიანი ვადის შემცირებას, ასევე, წვევამდელების მიერ მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სრულფასოვანი სამხედრო სამსახურის, მათ შორის საწყისი და შემდგომი საბრძოლო მომზადების გავლას, უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური დაცვის პირობების შეთავაზებას, ასევე სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას.

ამდენად:

- სავალდებულო სამხედრო სამსახურს შეეცვალა სახელი და ეწოდა - „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“;

- იგეგმება წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება. კერძოდ 12-თვიანი ვადის ნაცვლად შემოთავაზებულია სამსახურის დიფერენცირებული ვადები:

- საბრძოლო ქვედანაყოფში სამსახურისათვის - 6 თვე;
- დაცვის ან უზრუნველყოფის ქვედანაყოფში სამსახურისათვის - 8 თვე;
- უმცროს სამეთაურო თანამდებობებზე და წინასწარ განსაზღვრულ სპეციალობებზე სამსახურისათვის - 11 თვე.

გაწვევა განხორციელდება სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინებით.

- წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევა განხორციელდება ყოველწლიური შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, დადგენილი რიგითობის მიხედვით ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის მართვისა და ფუნქციონირების საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ;

- წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამინისტროს სისტემაში.

აღნიშნული სიახლეების ამოქმედება იგეგმება 2025 წლის პირველი იანვრიდან, ვინაიდან ამ პერიოდამდე უნდა განხორციელდეს შესაბამისი პერსონალის (ინსტრუქტორები) გადამზადება და ინფრასტრუქტურის მომზადება. ასევე, სხვა უწყებებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის საკონტრაქტო სამსახურით ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მათ შორის ფინანსური უზრუნველყოფა.

- იგეგმება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეული პირების შრომის ანაზღაურების ზრდა.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირს შეუნარჩუნდება:

- სამუშაო ადგილი, დაწესებულების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;

- ანაზღაურება სახელმწიფო სამსახურში, ასევე მის სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში;

- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სხვა სოციალური დაცვის გარანტიები.

ამასთან:

- პირს, რომელიც გაწვეულია წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში, ან დაასრულა იგი, კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება დაუფინანსდეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

- წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ისარგებლებს მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებით.

სიახლეს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის მიერ წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლის შესაძლებლობა. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, შესაძლებელია დაექვემდებაროს შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას. ასეთ შემთხვევაში, მას საკუთარი სურვილით შეეძლება შეარჩიოს და გაიაროს სამხედრო სამსახურის გავლის ერთ-ერთი ფორმა - 6, 8 ან 11 თვის ხანგრძლივობით, ან ჩაირიცხოს შესაბამის სამხედრო მომზადების პროგრამაზე, რომელიც გულისხმობს, ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტის მიერ ზაფხულის პერიოდში შეკრებების გავლას. სტუდენტს, რომელსაც 11-თვიანი სამსახურის დასრულების შემდეგ ექნება აკადემიური ხარისხი მიენიჭება ლეიტენანტის სამხედრო წოდება, ხოლო სამხედრო სამსახურის სხვა ფორმების გავლის შემთხვევაში - რიგითის სამხედრო წოდება.

აღნიშნული სისტემის ამოქმედება საშუალებას მოგვცემს:

- მოკლე დროში მეტი ადამიანი გადავამზადოთ სამხედრო პროფესიებში;
- საზოგადოებაში გაიზარდოს დადებითი დამოკიდებულება წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისადმი, ვინაიდან - პირი დიდი ხნით აღარ მოსწყდება ოჯახს და თავის ძირითად საქმიანობას;
- ჯარში ყოფნის პერიოდი რეალურად იქნება მორგებული სამსახურის იდეას, რომელიც აუცილებელია სამხედრო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის;
- შემცირდეს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მსურველთა რაოდენობა.

სტუდენტებს, ასევე, საშუალება ეძლევათ გაიარონ რეზერვის უმცროსი ოფიცრის მომზადების პროგრამა. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა, ასევე პირმა, რომელსაც მინიჭებული აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ნებაყოფლობით, შესაძლოა გაიაროს მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული რეზერვის უმცროსი ოფიცრის მომზადების პროგრამა. ამასთან, პირს მიენიჭება ლეიტენანტის სამხედრო წოდება, თუ პროგრამის წარმატებით დასრულების დღისთვის მინიჭებული აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან პროგრამის დასრულებიდან 5 წლის ვადაში წარმოადგინა ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და არ შესრულებია 35 წელი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის დასრულების დღისთვის არ აქვს მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი - მიენიჭება უმცროსი/უფროსი/მთავარი სერჟანტის წოდება.

გადაიხედა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის მოსაკრებლის ოდენობა და 2000 ლარის ნაცვლად (18 თვით გადავადებისათვის), განისაზღვრა 10 000 ლარით, ერთი წლის მანძილზე გადავადებისათვის. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის უფლების გამოყენება პირს ექნება მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად, პირი, გამოძახების შემთხვევაში, მომდევნო წელს დაექვემდებარება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავება განხორციელდება:

- მხოლოდ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფის, აგრეთვე სტატისტიკის წარმოების მიზნით, იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად;

- ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

პროექტით ასევე განისაზღვრა წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლის პირობები, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო პირის პრივილეგიები, წვევამდელის უფლება-მოვალეობები, მათ შორის გაწვევისაგან გათავისუფლებისა და გადავადების, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერებისა და  წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლები.

აღმოიფხვრება საკანონმდებლო ხარვეზი და გამოირიცხება არაკეთილსინდისიერი ფიქტიური „რელიგიური ორგანიზაციების" შესაძლებლობა დაეხმარონ ცალკეულ პირებს თავი აარიდონ გაწვევას.

პროექტის მიხედვით, პროფესიული სამხედრო სამსახური დაიყოფა:

- საკონტრაქტო - ვადიან, კონტრაქტის საფუძველზე ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურად;
- არასაკონტრაქტო - უვადო  სამხედრო სამსახურად.

სიახლის მიხედვით, საკონტრაქტო სამსახურის სერჟანტთა შემადგენლობიდან, მასტერ სერჟანტისა და მთავარი სერჟანტის სამხედრო წოდება გადავა არასაკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ვინაიდან, აღნიშნული წოდებები წარმოადგენს სერჟანტთა შემადგენლობის კარიერის ყველაზე მაღალი დონის საფეხურებს და მათი სამსახურებრივი ურთიერთობა მიზანშეწონილია რეგულირდებოდეს ვადიანი კონტრაქტის გარეშე, კოდექსით დადგენილი სამხედრო სამსახურის გავლის პირობებით.

კადრების განკარგულებას ეწოდა თანამდებობიდან დროებით გათავისუფლება. მისი ვადა განისაზღვრება ოთხი თვით და ოთხივე თვე იქნება ანაზღაურებადი.

პროექტით ასევე განისაზღვრა პროფესიულ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული საკითხები: შერჩევის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი, სამუშაო/დასვენების დრო, შვებულება, სამსახურში მიღება და დათხოვნა, თანამდებობრივი გადაადგილება, უფლებამოსილების შეჩერება და სხვა.

თავდაცვის ძალების რეზერვის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

- აქტიური რეზერვი:

ა) ტერიტორიული რეზერვი;

ბ) სპეციალისტთა რეზერვი.

- სამობილიზაციო რეზერვი.

ა) მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვი;

ბ) ზოგადი სამობილიზაციო რეზერვი.

სარეზერვო სამსახურის მოქნილობის უზრუნველსაყოფად, სამსახურში ჩარიცხული პირის მაქსიმალური ასაკი ყველა კატეგორიისათვის განისაზღვრა 60 წელი. ამასთან, სიახლის მიხედვით, პირს, რომელსაც შეუსრულდება 18 წელი, ჩაირიცხება მოუმზადებელ სამობილიზაციო რეზერვში. მოუმზადებელ სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხული პირი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, 27 წლის ასაკის მიღწევამდე არ იხსნება წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის აღრიცხვიდან და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექვემდებარება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას.

პროექტით ასევე განისაზღვრა:

- რეზერვის დაკომპლექტებისა და გავლის პრინციპები;
- სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემის შექმნის პირობები;
- რეზერვისტების მომზადებისა და აღრიცხვის პრინციპები;

- სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისგან გათავისუფლებისა და გადავადების საფუძვლები;
- რეზერვში გაწვეულ პირთა უფლება-მოვალეობა, მათი სოციალური გარანტია, პასუხისმგებლობა სარეზერვო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის.

საკანონმდებლო დონეზე, განისაზღვრა სამხედრო განათლების მიზანი, პროგრამა და სახეები, ასევე სამხედრო განათლების განმახორციელებელი სუბიექტები, სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყარო, სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი და ჩარიცხული პირის სტატუსი.

სამხედრო განათლების პროგრამები შეიძლება გაიაროს:
- სამხედრო მოსამსახურემ;
- საქართველოს მოქალაქემ, რომელიც არ არის სამხედრო მოსამსახურემ;
- უცხო ქვეყნის მოქალაქემ.

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია და აღიარება განხორციელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტით.

საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა საერთაშორისო სწავლებაში მონაწილეობისა და ჩატარების საფუძვლები, სწავლებაში მონაწილე სუბიექტები, საერთაშორისო სწავლების ჩატარების ორგანიზაციული საკითხები, მონაწილე სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი და დაქვემდებარების საკითხები, საერთაშორისო სწავლებაში მონაწილეობის რესურსებით უზრუნველყოფა, საერთაშორისო სწავლებაში მონაწილე სუბიექტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

დაიხვეწა სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის საფუძვლები. განისაზღვრა სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე სუბიექტები, სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე სუბიექტების წარგზავნისა და გამოწვევის საფუძვლები, მათი სამართლებრივი სტატუსი, დაქვემდებარებისა და რესურსებით უზრუნველყოფის საკითხები, სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე უცხო ქვეყნის პერსონალისა და კონტრაქტორების მხარდაჭერის საკითხები, სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე სუბიექტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანი და დისციპლინური წარმოების პრინციპები, ასევე მათი საფუძვლები და სახეები, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები და მისი გამოყენების წესი, ვადა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნის საფუძვლები, დისციპლინური საქმეების განხილვისა და წარმოების წესი, სადისციპლინო საბჭოს ქვემდებარეობა და უფლებამოსილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის გადასინჯვისა და განცხადების განხილვის საფუძვლები. კონკრეტული დისციპლინური გადაცდომები და პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

პროექტში გაერთიანდა „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დებულებები.

,,ტოტალური თავდაცვის“ პრინციპი და მიდგომა გულისხმობს ეროვნული რესურსების მთელი პოტენციალის მზადყოფნასა და მობილიზების უნარს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპის გათვალისწინებით, კოდექსით განისაზღვრება თავდაცვის სფეროში მოხალისეობრივი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული დადებითად აისახება სამხედრო მიმართულებით წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზების მიზნებზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილი იქნება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო სამსახურის

პოპულარიზაციას, ასევე უზრუნველყოს დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის სამხედრო-პატრიოტული და სალაშქრო ღონისძიებების გატარება, სამხედრო-ისტორიული თემატიკის მომზადებას. მოხალისეთა ორგანიზაციის/მოხალისეთა ორგანიზაციის კანდიდატის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების კოორდინაციისა და კონტროლის მიზნით, სამინისტროს სისტემაში შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მოხალისეზე, დაღუპვის ან დაჭრა/დასახიჩრების შემთხვევაში, გავრცელდება სამხედრო მოსამსახურისათვის დადგენილი სოციალური გარანტიები.

გარდამავალი დებულებებით განისაზღვრა:

- გარდამავალი პერიოდისათვის სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ურთიერთობები;
- შესაბამისი რეგულირების სფეროს სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, კოდექსის ამოქმედების შემდგომ სამართლებრივი აქტების იურიდიულ ძალის შენარჩუნების საკითხები;
- სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭების საკითხები.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონის (კოდექსის) ძირითადი ნაწილი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. ამასთან, საცხოვრებელი ფართების (ბინების) მშენებლობასთან დაკავშირებული ნორმა ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, სამხედრო მოსამსახურეთათვის ბინების მშენებლობის პროექტი ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს და პირველი ეტაპი თითქმის დასრულების სტადიაზეა. 2023 წლიდან ასევე იგეგმება მეორე ეტაპის დაწყება. შესაბამისად, კანონის საფუძველზე განსაზღვრული ვალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ბინების მშენებლობასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია ამოქმედდეს 2024 წლიდან. სამხედრო აღრიცხვასთან, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან, თავდაცვის ძალების რეზერვსა და სარეზერვო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ცალკეული დებულებები ასევე ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, აღნიშნულ თარიღამდე გასატარებელია რიგი საორგანიზაციო ღონისძიებები. კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უნდა შეიქმნას შესაბამის სამსახური, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მოქალაქეთა აღრიცხვას, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (სამედიცინო შემოწმება, გაწვევა და სხვა). ამასთან, ამ პერიოდამდე უნდა განხორციელდეს რეგიონებში არსებული სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი სამსახურების საქმიანობის ანალიზი (მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები და სხვა). რაც შეეხება წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას, ასევე წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლას მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, აღნიშნულ პერიოდამდე უნდა განხორციელდეს შესაბამისი უწყებების ასიგნებებში დამატებითი თანხების ასახვა, რაც დაკავშირებულია წვევამდელების ჩანაცვლებასთან სხვა მოსამსახურეებით. ამასთან, ვადის შემცირება და წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, გამოიწვევს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეული პირების რაოდენობის ზრდას თავდაცვის სამინისტროს სიტემაში, რისთვისაც საჭიროა შესაბამის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ინსტრუქტორების მომზადება. ასევე 2025 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს ნორმა, რომელიც უკავშირდება სამხედრო

სამსახურის გავლას მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, რათა ერთიანი მიდგომით დაიგეგმოს და განხორციელდეს სამხედრო სამსახურის კარიერული განვითარების პოლიტიკა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**
კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):**
**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**
კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**
მოქმედი კანონმდებლობით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის მოსაკრებელი 18 თვით გადავადებისათვის შეადგენს 2000 ლარს და პირს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ორჯერ 25 წლის ასაკამდე. პროექტის მიხედვით, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი იქნება ერჯერადი და შეადგენს 10 000 ლარს. ნორმა ძალაში შევა კოდექსის პროექტის ამოქმედებისთანავე და გავლენას მოახდენს როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან ამ მოსაკრებლის 90% მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 10% მუნიციპალიტეტის/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში. გავლენის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება შემთხვევათა რაოდენობაზე. რაც შეეხება ბოლო წლების სტატისტიკას, 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გადაიხადა 281-მა პირმა, თანხამ შეადგინა 562,000 ლარი. 2021 წელს აღნიშნულმა მოსაკრებელმა ჯამურად შეადგინა 998,070 ლარი, საიდანაც 896,263 ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 101,807 ლარი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში.
კანონპროექტი ასევე მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის სახით, რადგან პროექტი ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას, სადაც დასაქმებულთა რიცხოვნობა განისაზღვრება 19 ერთეულით და მათი წლიური შრომის ანაზღაურება საშუალოდ - 600,000 ლარით. მათ მიერ გადახდილი საშემოსავლო გადახასადი კი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.
**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**
კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მიხედვით 2025 წლიდან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. შესაბამისად, სხვა უწყებებში სავალდებულოდ გაწვეული სამხედრო მოსამსახურეები უნდა ჩაანაცვლოს ხელშეკრულებით მიღებულმა კონტინგენტმა. ამდენად, აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად, 2025 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ ეტაპზე არსებული რეალობიდან გამომდინარე, წელიწადში საჭირო იქნება შემდეგი ხარჯების (სავარაუდო) გამოყოფა:

- სპეციალური პენიტენციური სამსახური - **19 215 000 ლარი.**

- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - **6 597 840 ლარი.**
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - **46 433 763 ლარი.**

**ჯამი - 72 246 603 ლარი წლის განმავლობაში.**

შენიშვნა: საქართველოს დაზვერვის სამსახური და სახელმწიფო უსაფთხოების სამსახური - გაწვევა არ მიმდინარეობს და შესაძლოა მომავალშიც არ დადგეს საჭიროება.

პირის, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გაწვევის შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დამატებით გასაწევი სავარაუდო ხარჯები 2025 წლიდან იქნება 15 000 000 ლარი.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირის შრომის ანაზრაურება ამ ეტაპზე შეადგენს 125 ლარს. იგეგმება ზრდა, თუმცა ამ ეტაპზე ეს საკითხი მსჯელობის საგანია.

**სულ ჯამში სხვა უწყებების და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხარჯი: 87 246 603 ლარი.**

ზემოაღნიშნული რეფორმის გატარების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხარჯები უნდა აისახოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

რეზერვის უმცროსი ოფიცრის მომზადების პროგრამის რეალიზების შემთხვევაში, პროგრამის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ან/და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასიგნებებიდან. შესაბამისად, სავარაუდო ფინანსური რესურსი, რომელიც მოიცავს კვების, სანივთე ქონების, სამედიცინო მომსახურების, დაზღვევის, სტიპენდიის, კომუნალურ და სხვა ხარჯებს, ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 532 145 (ხუთას ოცდათორმეტი ათას ას ორმოცდახუთი) ლარს, ხოლო ორი წლის განმავლობაში - 1 064 290 (ერთი მილიონ სამოცდაოთხი ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარს.
რაც შეეხება ინსტრუქტორების/მასწავლებლების და ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, ამ ნაწილში თანხების ზრდა არ იქნება მოსალოდნელი, ვინაიდან აღნიშნული განხორციელდება სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე.
ხარჯების სავარაუდო ოდენობები მოცემულია ცხრილში:

| # | **კლასიფიკაცია** | **სავარაუდო ფინანსური რესურსი (ლარი)** |
|---|---|---|
| 1 | კვება, საველე სწავლებებზე მშრალი ულუფა | 135 000 |
| 2 | სამხედრო ფორმის ტანსაცმელი და საველე აღჭურვილობა | 492750 |
| 3 | საწვავი | 3 040 |
| 4 | სამედიცინო საშუალებები (მედიკამენტები/შესახვევი მასალები და სხვა) | 3 100 |
| 5 | კომუნალური ხარჯი (ბუნებრივი აირი, ნარჩენების გატანა) | 18 200 |
| 6 | დაზღვევა | 52 200 |

| | | |
|---|---|---|
| 7 | სტიპენდია | 360 000 |
| | სულ | 1 064 290 |

საწყის ეტაპზე, პროგრამისათვის მოცემული ხარჯები 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში და „BDD“ დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის.

იზრდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრა-დასახიჩრების ან დაღუპვის შემთხვევაში დაწესებული კომპენსაციის ოდენობა და იგი, ასევე გავრცელდება სამინისტროს სისტემის სამოქალაქო პირებზე. აღნიშნული ღონისძიებებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 500 000 ლარი, აქედან დაჭრილებისა და დასახიჩრებულების სასარგებლოდ მიმდინარე წელს დღეის მდგომარეობით გაცემულია 128 000 ლარი. 2023 წლისთვისაც 500 000 ლარის გათვალისწინება იგეგმება.

კანონპროექტის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა თანადაფინანსებით. სამხედრო მოსამსახურეთა ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის პირველი ეტაპი დაიწყო 2020 წლის ბოლოს და დასრულდება უახლოეს მომავალში. აშენდება 1092 ბინა და დაჯდება დაახლოებით 97 000 000 ლარი. მეორე ეტაპი ანალოგიური ოდენობის ბინებით და დაახლოებით ანალოგიური ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება რომ დაიყოს 2023 წელს. რაც შეეხება თანადაფინანსების საკითხს ამ ეტაპზე იყო 50/50 ზე.

მოხალისეთა ორგანიზაციის/მოხალისეთა ორგანიზაციის კანდიდატის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების კოორდინაციისა და კონტროლის მიზნით, სამინისტროს სისტემაში შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სსიპ-ში დასაქმებული იქნება სულ 19 თანამშრომელი - 1 პოლკოვნიკი, 3 ვ/პ-კ, 3 მაიორი, დანარჩენი კი სამოქალაქო პირები. მათი შრომის ანზღაურება შეადგენს საშუალოდ 600 000 ლარს წელიწადში. ამასთან, აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხარჯზე, ხოლო საოფისე ინვენტარისა და კომუნალური ხარჯები დაფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან. აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა იგეგმება თავდაცვის კოდექსის ამოქმედებიდან უახლოეს პერიოდში.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტის მიხედვით, რეზერვის უმცროსი ოფიცრის მომზადების პროგრამაზე მიღებული პირი უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით (300 ლარის ოდენობით), ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევით, კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში

კვებითა და შესაბამისი სანივთე ქონებით. ასევე, დაუწესდება სამხედრო მოსამსახურისათვის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროექტის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტიპენდიის დაწესების ვალდებულება არ გააჩნია და მისი უზრუნველყოფა განხორციელდება კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით (მაგ. წარჩინებული მსმენელი, იღებს თუ არა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტიპენდიას და სხვა). პირისათვის, რომელიც ვერ გაივლის მომზადების პროგრამას სრულად ან/და შეწყვეტს მას, რაიმე სახის ფინანსური შედეგი არ დადგება.

გაიზრდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრა-დასახიჩრების ან დაღუპვის შემთხვევაში დაწესებული კომპენსაციის ოდენობა.

სიახლის მიხედვით განხორციელდება სამხედრო მოსამსახურეთა ბინებით უზრუნველყოფა თანადაფინანსებით.

სიახლის მიხედვით სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან თავსებადი იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების და საავიაცო სფეროში საქმიანობა, შესაბამისად, მათ შეეძლებათ ამ საქმიანობებიდან მიიღონ დამატებითი შემოსავალი.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის მოსაკრებელი 2000 ლარიდან (18 თვით გადავადებისთვის) იზრდება 10 000 ლარამდე (ერთი წლით გადავადებისათვის).

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირის შრომის ანაზრაურება ამ ეტაპზე შეადგენს 125 ლარს. იგეგმება ზრდა, თუმცა ამ ეტაპზე ჯერ მსჯელობის საგანია.

სიახლის მიხედვით წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირს შეუნარჩუნდება:
ა) სამუშაო ადგილი, დაწესებულების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;
ბ) ანაზღაურება სახელმწიფო სამსახურში, ასევე მის სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში;
გ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სხვა სოციალური დაცვის გარანტიები.
პირი რომელიც გაწვეული იქნება წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში, ან დაასრულა იგი, კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება დაუფინანსდეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი.
წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებით.

მოხალისეთა ორგანიზაციის/მოხალისეთა ორგანიზაციის კანდიდატის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების კოორდინაციისა და კონტროლის მიზნით, სამინისტროს სისტემაში შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სსიპ-ში დასაქმდება 19 თანამშრომელი, რომლებიც მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას.

ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ პირველადი სახელმწიფო სპეციალური წოდება პირს მიენიჭება ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირი დაინიშნება მხოლოდ სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციისა და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში, ხოლო სამინისტროს სისტემის მოსამსახურეს, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება, გარდა მოცემულ ქვედანაყოფებში დასაქმებული მოსამსახურისა,

ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ შეუნარჩუნდება მინიჭებული სახელმწიფო სპეციალური წოდება და აღარ მიენიჭება მორიგი. აღნიშნული გავლენას იქონიებს იმ პირებზე ვისაც ვეღარ მიენიჭება მორიგი წოდება, ვინაიდან აღარ გაეზრდებათ წოდებრივი სარგო.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**
პროექტში ერთიანდება „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის მოსაკრებელი 18 თვით გადავადებისათვის, შეადგენს 2000 ლარს და პირს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ორჯერ 25 წლის ასაკამდე. პროექტის მიხედვით, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი იქნება ერჯერადი და შეადგენს 10 000 ლარს. ნორმა ძალაში შევა კოდექსის პროექტის ამოქმედებისთანავე.

**ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:**
კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**
**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**
ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**
**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**
კანონპროექტის მომზადებისა და განხილვის პროცესში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლებმა და დეპუტატებმა, აშშ-სთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის (ODC)

სამსახურის წარმომადგენლებმა, აშშ-ის თავდაცვის ინსტიტუტის (DIILS) წარმომადგენლებმა საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში, სახელმწიფო უწყებებმა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, საქართველოს დაზვერვის სამსახურმა, სახალხო დამცველის აპარატმა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა (რეორგანიზაციამდე), საქართველოს პროკურატურამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დარგის ექსპერტებმა, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოში არსებულმა თითქმის ყველა რელიგიურმა გაერთიანებამ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**
ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:**
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**
საქართველოს მთავრობა.